107
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 230
ოქტომბრის 29, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 230
ოქტომბრის 29, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:—არტონ კასრაძესთან.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ი ვ ე რ ი ა“
ღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ღოღობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქელაძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, № 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

„ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან

მდგომარე წლის 15 ნოემბრიდან

სურათებიანი დამატება

გამოვა კვირაში ორჯერ

ხუთშაბათობით და კვირაობით

ფასი წინანდელი დარჩება, ესე იგი, „ცნობის ფურცელი“ დამატებით ეღირება წელიწადში 6 მანეთი.

ჟურნალ **„მოამბის“** ხელის მომწერთ **„ცნობის ფურცელი“** გაეგზავნება ორივე დამატებით.

„მოამბეს“ წლიური ფასი 10 მან., ქალაქ გარედ გაგზავნით—11 მან.

ხელის მომწერთ ვსთხოვთ გამოწერის დროს რაც შეიძლება ძლიერ **გარკვევით** მოიწერონ **გვარი, სახელი, მამის სახელი და ქალაქის სახელი,** ამასთანავე გარკვევით დასწერონ, რომელი გამოცემა ჰსურს, „ცნობის ფურცელი“—„მოამბე“ თუ მარტო „ცნობის ფურცელი“.

ვინც მომავალ 1903 წლისათვის დაიკვეთავს გაზეთს ან ჟურნალს და წლიურს ფასს წინადვე შემოიტანს, გამოცემანი გაეგზავნება მდგომარე წლის 1 დეკემბრიდან მომავალ 1903 წლის დამლევამდე.

ხუთშაბათის დამატების ნომრებში დაიბეჭდება **ემილ ზოლას** უკანასკნელი რომანი **სიმართლე** „Verite“. ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели“.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ნოემბრის სამს, კვირას, ქ. ოზურგეთში, გურიის ამხანაგობა

„შუამავალის“

კანტორაში, 12 საათზე, დანიშნულია ამ ამხანაგობის წევრთა საზოგადო არა-ჩვეულებრივი

კრება.

ნაცვლად 27 ოქტომბერს შეუმდგარი კრებისა. განსახილველი იგივე კითხვებია, რაც პირველი კრებისთვის იყო დანიშნული. ეს კრება და მისი დადგენილება კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა დაესწროს მას წევრი.

მმართველი ი. ლ. ქუთათელაძე.

(2—1)

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი 617.

დღეს, სამშაბათს, 29-ს ოკდომბერს, ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ **გ. ბროდჟი-მუტინის** მონაწილეობით **ა. მ. ვასილიევის** საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება

აიდა

ოპერა 4 მოქმედ. და 7 სურ. მუს. ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ზორინისა, კარამზინა-ჟუკოვსკისა, ბ-ნნი ვასილიევი, ბროდჟი-მუტინი, ჩემეზოვი, პეტროვი, პევცოვი და სხ.

კაპელმეისტერი **ლ. პ. შტეინბერგი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდე და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

ადგილების ფასები დაკლებულია.

პარასკევს, 1 ნოემბერს, **პ. ი. პოლუიანოვის** საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნება ოპერა **ევგენი ონეგინი.**

ჩქარა წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებს **მ. ს. ინსაროვისა.**

უფროსი რეჟისორი **ივ. ფითოევი.**

იბეჭდება და გამოვა ნოემბერში 1903 წ.

საქართველოს კალენდარი

(ვ. გუნიასი),

გამოცემა „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა“.

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად
შემდეგის პირობებით:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მან., ½ გვერდი—6 მან.; კალენდრის ბოლოში: 1 გვერდი—7 მ., ½ გვერდი—4 მან., ¼ გვერდი—2 მ., მარტო ადრესის გამოცხადება—1 მ.

განცხადება მიიღება: ტფილისში—ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბათუმში—მ. ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან, ქუთაისში—ვ. ბეჟანეიშვილთან და მიტ. ლაღიძესთან.

ნოემბერშივე გამოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამოცემა

ქედლის კალენდარი.

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე.
წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი ...ილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტებიჳ მან. 5 მანეთამდე.
(წ.)

ტფილისი

◆ პეტერბურგიდგან გვწერენ: „პროფეს. ნიკო იაკ. მარრი ჯერაც არ დაბრუნებულა პალესტინიდგან და არც ვიცით, როდის დაბრუნდება, რადგან მიმოსვლა წმინდა ქვეყნებსა და ევროპას შორის შეწყვეტილია“.

◆ გუშინ, 28 ოკდომბერს, ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიის დარბაზში დანიშნული იყო საგანგებო კრება ტფილისის აღმზრდელ ქალთა და მასწავლებელ საზოგადოების წევრთა თავსჯდომარეობდა დედათა გიმნაზიის უფროსი კლაუსე, კრებას უნდა გადაეწყვიტა, მიიღონ თუ არა ნამდვილ წევრად მამა-კაცნი პედაგოგნი. ამ საგნის გადასაწყვეტად საჭირო იყო უმრავლესობა დამსწრე წევრთა ორის მესამედისა. დამსწრენი იყვნენ 250 წევრი. მათ შორის 132 მომხრე აღმოჩნდა მამაკაცთა მიღებისა, ხოლო 118 წინააღმდეგი. ამიტომ ძველი წესდება შეუცვლელი დარჩა.

◆ პარასკევს, 1 ნოემბერს, დანიშნულია სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც განაგრძობენ სასოფლო-მეურნეობის საჭიროებათა პროგრამმის განხილვას.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ნება დართო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ტფილისის საბაღოსნო სკოლის ადგილი დაიმტკიცოს თავის სახელობაზედ, საქმის წარმოება საზოგადოების საბჭომ მიანდო ვექილს გაბრიელ საყვარელიძეს.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მიანდო სულთან-კრიმ-გირეის და ქალანთარს 8 ნოემბერს მიულოცონ პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას საიუბილეო დღესასწაული.

◆ ამ ცოტას ხანში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ განხილულ იქნება სულთან-კრიმ-გირეისა და ნატროშვილის მიერ შედგენილი მოხსენება სახალხო სკოლებში დედა-ენის სწავლების შესახებ.

◆ კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ აცნობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ უკანასკნელს კრებაზედ ავირჩიეთ კომისია, რომელსაც დავავალეთ დაამზადოს მოხსენება სამეურნეო საზოგადოების კრებათათვის წარსადგენად იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხის ყოფა-ცხოვრებაში მკურნალობის საქმის ხეირიანად მოწყობას.

◆ კავკასიის იურიდიული საზოგადოება შეეკითხა სამეურნეო საზოგადოებას, განგვიმარტეთ დაწვრილებით, რა მხრივ უნდა გამოიკვლიოს იურიდიულმა საზოგადოებამ სასამართლოების მოწყობის საქმე სოფლადაო.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსანს და ელექტრონით განათების მეთვალ-ყურე კომისიის წევრს, ინჟინერს მირზოევს განზრახვა აქვს ახალს საბჭოში ჩამოაგდოს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებს მიეცეთ ნება დაესწრნენ ყველა კომისიებისა და შეერთებულ კრებათა სხდომამზედ, რათა გაზეთები დანამდვილებით ჰბეჭდავდნენ ყველა კრების ანგარიშსაო; მირზოევს ამ საქმის შესახებ მოხსენება უკვე დაუმზადებია.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტმა თავ. გრუზინსკიმ ამა საზოგადოების სახელით, მიულოცა ათის წლის მოღვაწეობის დღესასწაული ფინანსთა მინისტრის ამხანაგს ბ-ნ კოვალენსკის; თავ. გრუზინსკის მიუღია კოვალენსკისაგან წერილი, რომლითაც იგი გულითადს მადლობას უძღვნის სამეურნეო საზოგადოების წევრთ და სამეურნეო საზოგადოებას.

◆ თელავიდგან ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ილია ზარაფიშვილისაგან მიიღო თელავში 25 მაისს, ვასილ აბაშიძის პატივსაცემლად, გამართული საიუბილეო წარმოდგენის შემოსავალი 61 მანეთი და 55 კ.

ამავე საზოგადოებამ, თავად ზაქარია ერისთავისაგან, ა. ცაგარლის სახელობაზედ ფონდის გასაძლიერებლად, მიიღო 15 მანეთი.

◆ 26 ოკდომბერს მოჰხდა კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წევრთა კრება; კრებამ განიხილა საზოგადოების მოქმედება 1901 წ. როდესაც წლიური ანგარიში წაკითხულ იქმნა, კრება შეუდგა ახალ წევრთ ამორჩევას წევრებად ამოირჩიეს 20 კაცი; მათში 15 პროვიზორია; საზოგადოების გამგეობის წევრთა ამორჩევა გადიდო შემდეგ კრებისთვის, რომელიც დანიშნულია მომავალ კვირას.

◆ ჯერ კიდევ 13 აგვისტოს გამგეობის წევრთა და ტეხნიკოსთა შეერთებულმა კრებამ დაადგინა, რომ მიეწვია სპეციალისტების კომისია თავიანთ აზრის წარმოსათქმელად იმის შესახებ, თუ რამდენად ხელსაყრელია ქალაქისათვის უსახელო საზოგადოების მიერ შედგენილ პროექტის განხორციელება საჰიდრავლიკო ელექტრონის სადგურის აგებისა და რა სარგებლობას მოუტანს იგი ქალაქის მცხოვრებლებსა. 23 ოკდომბრამდის ეს საქმე შეჩერებული იყო. მხოლოდ 23 ოკდომბერს შეერთებულმა კრებამ დაავალა გამგეობის წევრს ბ-ნს ენფიანჯიანცს, რომ მან, თვისისავე თავმჯდომარეობით, მოახდინოს კრება ზემო აღნიშნულ საგანზედ და ამ სპეციალისტების აზრი წარუდგი-

ნოს შეერთებულს კრებასა; 26 ოკდომბერს ინჟინერთა კრებამ განიხილა რა საჰიდრავლიკო სადგურის პროექტი, ის აზრი წარმოსთქვა, რომ ამ ნაირ სადგურის გამართვა ფრიად საჭიროა და სასარგებლო; ბევრი ფულიანი კაციც გაჰბედავს ამის მიხედვით მტკვარზედ ამ გვარი სადგური გამართოს და ეს გარემოება კი უეჭველს სარგებლობას მოუტანს ქალაქსა და ხალხის მდგომარეობასაც გააუმჯობესებსო. ამას თანავე ინჟინერთა კომისიამ დაადგინა, ამოირჩიოს მცირე კომისია, რომელსაც მიენდოს ამ პროექტის განხილვა, როგორც ტეხნიკურის მხრივ, ისე ეკონომიურის მხრივა. მცირე კომისიას დაევალოს, შეადგინოს დაწვრილებითი მოხსენება ამ საგანზედ საბჭოში წარსადგენათაო. როდესაც ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზედ, თუ ვინ იქმნას მცირე კომისიაში ამორჩეულიო, ერთხმად დაადგინეს, ამ კომისიაში ეფინჯიანცი არ იქმნას ამორჩეული, რადგანაც იგი მხოლოდ საქმის წარმოებას ხელს შეუშლისო. კრების თავმჯდომარემ ბ-ნმა ეფინჯიანცმა ამის შემდეგ გამოაცხადა, რომ ეს კრება კანონიერი არ არის, რადგან დღეს აქ კერძო ბაასია და ამ ბაასს ოფიციალურ ყრილობის ხასიათი არა აქვსო. საგანგებო ბარათებით მოწვეულმა ინჟინრებმა იუკადრისეს ეფინჯიანცის ამისთანა საქციელი და დაადგინეს, ეს ამბავი ეუწყოს გამგეობას ქალაქის საბჭოს მოსახსენებლადაო. ინჟინერ კირაკოზოვს ამის შემდეგ უთხოვნია ამ კრებაზედ მოწვეულ ყველა ამხანაგებისაგან ნება-რთვა, რომ ეს ამბავი მკითხველ საზოგადოებისათვის ეცნობებინა გაზეთის საშუალებით. კირაკოზოვს დააკისრეს მისის წინადადების განხორციელება, მხოლოდ გარდასწყვიტეს, მოიცადონ იმ დრომდე, ვიდრე ქალაქის გამგეობა და საბჭო ამ ამბის შესახებ რაიმე ღონის-ძიებას მიიღებს-

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „იმერეთის ისტორია“ (687—1744), აღწერილი ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. წიგნი შეიცავს 84 გვერდს და ღირს 30 კაპ.

ჩვენებური ამბები

ბათომი. † **ლევან მჭედლიშვილი** ორ ოკდომბერს ბათომის ქართულმა ინტილიგენციამ და საზოგადოებამ სამარის კარამდე გააცილეს და საუკუნოდ გამოეთხოვნენ ლევან ლუკას ძეს მჭედლიშვილს. განსვენებული ჯერ როგორც ხმოსანი და მერმე როგორც კორესპონდენტი ქართულ გაზეთებისა დიდი მოამაგე იყო და დიდი სამწუხაროა აქაური ინტილიგენციისათვის და საზოგადოებისათვის ასეთი საზოგადო მოღვაწის დაკარგვა.

ამ ხმოსანს ჯერ კიდევ მაჯა უცემდა და გული უძგერდა ქვეყნისათვის საჭირნახულოდ და სამოღვაწეოდ. რაც იშრომა და გააკეთა, ისიც საკმაოა განსვენებულის პატივსაცემლად და ფრიად საგონებლად. ლ. მჭედლიშვილი ხმოსნის ასპარეზედ თვით-მართველობაში გამოვიდა, როცა სულ პირველად დაარსდა ბათომში და იმ დროიდგან სიკვდილამდე ერთგულად ემსახურებოდა ქალაქს და განსვენებულმა თვით საბჭოშივე დალია სული. განსვენებული დიპლომიანი არ იყო, მაგრამ თავსს გამჭრიახობით და ჭკუით და დაკვირვებით დიპლომიანებსაც არ ჩამორჩებოდა. იგი იყო ნამდვილი მოქალაქე, იცავდა საზოგადო ინტერესებს და რაც-კი შეეძლო, ხელს უწყობდა სუყოველ საქველმოქმედო საზოგადოებას მატერიალურის მხრით.

ძალიან ცუდი ზედგავლენა იქონია მის ჯანმრთელობაზე აქაურმა საბჭოს არეულ-დარეულობამ, ზედ მიწევნით იმან, რომ უდანაშაულო სასამართლოშიაც-კი მისცეს სხვებთან ერთად. ლ. მჭედლიშვილი ქალაქის ერთი უკეთესთაგანი მოღვაწე იყო და მერე პატივსაცემი თანამშრომელი ქარ. გაზეთებისა. მისი წერილები იბეჭდებოდა „უჩინო“-ს, „კრაზანა“-ს, ხელმოწერით. კორრესპონდენციის მარტო-კი არა, პატარა მოთხრობებსაც-კი შეხვდებით, როგორც მაგალითად დროების № 61-ში 1881 წელს.

1879 წ. სერგი მესხი სთხოვს ბათომის ამბების მიწოდებას, როგორც მუდმივ კორრესპონდენტს.

გიორგი წერეთლის წერილს მისდამი ცოტა შემოკლებით მოვიყვანთ.

„ძმაო ლევან!

გუშინ მივიღე კორრესპონდენცია შენგან და მადლობელი ვარ, გთხოვ, მიუდგომლად წერო ხოლმე საქმეებზე და ამითი ბათომს სარგებლობას მოუტან. პარტიული შეხედულობა ძალიან აბრაზებს ყველას და საქმეც არ კეთდება. შენც ხომ საქმის კაცი ხარ, გინდა ბათომის სიკეთე და ამისათვისაც გეუბნები ამას.

შენი ძმა გ. წერეთელი“.

კიდევ სერგეი მესხისაგან:

„ბატონო ლევან!

„ერთი სათხოვარი საქმე მაქვს თქვენთან და ამ წერილსაც უფრო იმიტომ გწერთ. მოგეხსენებათ, რა დრო არის ახლა ბათომში. ამისთანა დროს ჩვენთვის ძალიან საინტერესო და საჭიროა, რომ მანდაური ამბები ვიცოდეთ; ოსმალების მზადება საომრად, ან მცხოვრებლები როგორი თვალით უყურებენ და მოელიან ბრძოლას. ახლა გამაჰმადიანებული ქართველები რას ამბობენ, ან როგორ ცხოვრობენ, ოსმალების ჯარებიც ემზადებიან საომრად, არიან თუ არა მანდ ინგლისის აფიცრები...

ყველა ეს ცნობები ძალიან საჭიროა და თუ-კი მოახერხებთ, რედაქცია დიდს მადლობას გიძღვნით. კიდევ ვიმეორებ, ამ თხოვნას თუ აასრულებთ, რედაქცია ძალიან დაგიმადლებსთ და მით ჩვენ საზოგადო საქმესაც დაავალებთ.

თქვენი პატივის მცემელი დროების რედაქტორი სერ. მესხი.

რედაქციის ადრესი: Tiflis (Pussie) Въ ред. газ. „Дроэба“ ან ფრანგულად „Redaction du journal „Droeba“ 1877 წ. 22 თებერვალს“.

ერთ უკეთესთაგანს მხარეს ლ. მჭედლიშვილისას წარმოადგენს დახმარება სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა. ამის მაგალითად ერთს შემდეგს წერილსაც მოვიყვან:

ბ. ლევანო!

მმართველობას მოუვიდა ცნობა, რომ თქვენ გსურთ შეეწიოთ, რითაც-კი შესაძლებელი იქნება თქვენთვის, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლას ბათუმში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ მმართველობა დიდის მადლობით მიიღებს ყოველს შემწეობას, რითაც-კი თქვენ აღმოუჩენთ მის სკოლას.

თავმჯდომარის ამხანაგი ილია ჭავჭავაძე.
საქმეთ-მწარმოებელი გ. ყიფშიძე.
1882 წ. 19 დეკემბერს.

—

მისი უკანასკნელი წერილი „ივერიის“ № 38-შია (1901 წელს) დაიბეჭდა ამ სათაურით: „ბათომის საბჭო და ხმოსანი გ. ა. პალმი“.

ანემპოდისტე ჯანელიძე.

—

ბათუმი. 25-ს ოკდომბერს აქაურს სასამართლოში დანიშნული იყო გასარჩევად საქმე მუშებისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ მთავრობის მოხელების წინაამდეგობა. უმთავრეს მოწმეების მოუსვლელობის გამო საქმე გადაიდო 10 იანვრამდე 1903 წლისა.

—

პატარძეული (ტფილისის მაზრა). რასაკვირველია, წრეს გადასული არა ვარგარა. სამის წლის წინად ერთმა შეგნებულმა პატარძეულელმა თავისის ხარჯით სოფელს წიგნთსაცავ-სამკითხველო დაუარსა, მოაწყო წიგნებით, საჭირო ავეჯით და ჩააბარა ადგილობრივ სამინისტრო სკოლის მასწავლებელს. სწორედ ერთის წლის შემდეგ ვილაც მათე კორესპონდენტს გაეშინჯა პატარძეულის სამკითხველო, იმისი დავთრები, ეკითხა სამკითხველოს ავი და კარგი, ყველაფერი „ეწვრილნა“ და თქვენი მოწონებული წერილი გამოეცხო, როდესაც ის წერილი წავიკითხე, თვალების ფშვნეტას მოვყევ და გავიფიქრე, სიზმარში ხომ არა ვარ მეთქი მე, აქაურმა, არა ვიცირა და შორიდამ მოსულმა მათემ ერთის შემოვლით და ესე დაახლოვებით როგორ გაიცნო ან სამკითხველოს ავკარგი, ან თითონ მისი გამგე-მეთქი.

რაკი ბ ნ მათეს გაექრელებინა გაზეთში გამგეს ქება, გამგესაც ალბად ეფიქრა, სწორედ კარგი ვყოფილვარო და უამისოდაც თავ მინებებულ სამკითხველოს სულ თავი ანება; ათაში ერთხელ, ისიც მოსაჩვენებლად, თუ გააღებდა ორიოდ წუთით, ნახეთ, აქა ვარო; სხვა დროს-კი აღარ აღებდა. ხალხი და ბალღები ჩიოდნენ, რატომ არ აღებთ და წიგნებს ან არ გვიცვლით ან არ გვაძლევთო; ზოგი ამასაც ამბობდა: აი, ის „ბიბლიოტიკაა“ თუ რაღაცა, რათ არი წელიწადი თორმეტი თვე დაკეტილი და სცდება, მაგის ამშენებელს შიგ ერთი კარგი დუქანი გაეღო, ისა არა სჯობდაო?

შარშან საშობაოდ ბ-ნი გამგე ტფილისში წასულიყო (კოტას ხნით, ესე 18—19 დღით და თუმცა კარგად იცოდა, იმ ბედნიერ დღეებში მოსწავლე ყმაწვილები თავს მოიყრიდნენ სოფელში, მაინც სამკითხველოს გასაღები თან წაეღო; სახათაბალოდ, რაღაც ეშმაკის ცხენებზედ მაშინ მოუნდათ ყველა მოსწავლეებს შესხდომა: სამკითხველო გაგვიღეთ, წიგნებია საჭიროვო, სახალხო წარმოდგენა უნდა გავმართოთო. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, არც სამკითხველოს გამგე აღმოჩნდა, არც მისი მოადგილე, არც გასაღები. მტერი დაგიღონდეთ, როგორც ისინი დაღონდნენ, მაგრამ რას იზამდნენ! ეცნენ მეზობელ სოფლებს, სჩხრიკეს წიგნთსაცავები და ვაი-ვაგლახით ერთი დახეული, ფურცლებ დაკლებული წიგნი იშოვნეს, გადაწყვიტეს იმ ერთ წიგნით წასულიყვნენ იოლად, მანამ გამგე დაბრუნდებოდა. წარმოდგენა დანიშნეს 5 იანვრისთვის, იანვრის 5-ს რაკი საღამოს ოთხი საათი შესრულდა, გადასწყვიტეს ერთხმად, გაეღოთ სამკითხველო და ესარგებლნათ წიგნებით: „გვქონდეს და გვენატრებოდეს, რაღა დღისათვის გვინდაო“! თქმა და ასრულება ერთი იყო. გაღების დროს მოულოდნელად ერთი რაზა მოსტყდა და კარები გაიღო. რამდენიმე მოსწავლე შევიდა სამკითხველოში; საჭირო წიგნები ძებნეს, ვერ იპოვნეს და ცარიელები დაბრუნდნენ. იმ ღამეს როგორ ითამაშეს იმ ერთის დაფხრეწილ, ფურცლებ დაკლებულ წიგნის საშუალებით, ღმერთმა უწყის. ღია სამკითხველოს-კი ერთმა იქ მყოფთაგანმა ახალი რაზა-კლიტე უშოვა და დაკეტა. შემდეგ ბ-ნი გამგეც დაბრუნდა ტფილისიდამ და რომ შეიტყო სამკითხველო გაუღიათო, სთქვა: „მე მაგას ახლო ვერ მივუდგები, სანამ გუბერნატორს არ ვაცნობებ და იქიდამ მოწერილობა არ მომივაო“. ეგრეც მოიქცა. მე რომ მიამბეს ესა, სიცილად არ მეყო. საგუბერნატორო აქ რა იყო მეთქი, დასალევი და შესაჭმელი არა იყო-რა და წიგნებს, ვგონებ, ის ყმაწვილები უფრო გაუფრთხილდებოდნენ-მეთქი და რაღა იყო სადავიდარაბო?!.

ესე, ჩემო ბატონებო, აგერ ერთი წელიწადი გავიდა, სამკითხველო გაყინული სდგას და კლიტე უჟანგდება. აი, რა გვიყო მეტისმეტმა ქებამ... სხვა სოფელში რომ ყოფილიყო სამკითხველო, ვინ იცის, რამოდენს სარგებლობას მოუტანდა ხალხს და ჩვენ-კი ვერ გამოვიყენეთ ჯერ-ჯერობით.

ჩვენში და ნინოწმინდას, საგარეჯოს და სხ. სოფლებში ძრიელ გავრცელებულია საქონლის ქურდობა და საშველი არ საიდამა სჩანს. საკვირველია, ყველამ სათითაოდ იციან, ვინ არიან ეს ქურდები და ხმას-კი არავინ იღებს, არც თვით სოფლის მამები.

ს—ძე ბ.—ი.

კავკასია

24 ოკდომბერს ბაქოში გუბერნიის უფროსის სადგომში დაიწყო სამეურნეო კომიტეტის წევრთა კრება. კრებაზე მიუწვევიათ სახელმწიფო გადასახადთა ინსპექტორები.

—

ნაფიც ვექილთა ახალ კომიტეტის არჩევა ბაქოს ოლქის სასამართლოსთან 17 ნოემბერზედ ადრე არ დაიწყება.

ბაქოს სასტატისტიკო ბიუროს გამგედ მოწვეულია პეშეხონოვი, რუსოვი, ვორობიევი და ბლეკოვი.

—

ბაქოს ქალაქის მოურავს ბ-ნს ნოვიკოვს შემდეგი განცხადება აუკრავს ქალაქის გამგეობის მისაღებ ოთახში: „არა მარტო გარეშენი, არამედ ქალაქის თვით მართველობაში მოსამსახურენიც მომმართავენ ხოლმე წერილებით, თუ სიტყვიერად „თქვენო აღმატებულებაო“. არც ჩინით და არც თანამდებობით მე ეს არ დამიმსახურებია. გთხოვთ დამიხსნათ ამ გვარ ტიტულისაგან“.

რუსეთი

აზრად აქვთ, რომ იმათ, ვისაც იურიდიული ფაკულტეტი აქვს გათავებული, სახელმწიფო სამსახურში შესვლისათვის დამატებითი ეგზამენი მოსთხოვონ.

— მოსკოვში მალე დაიწყება ხუროთ-მოძღვრების და სამხატვრო ნაწარმოებთა გამოფენა. გამოფენაში შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ საზღვარ-გარეთის მხატვრებმაც.

— იმ კომისიის კრება, რომელსაც აზრად აქვს სააფთეაქო საქმის რეფორმა, 1903 წლის პირველ თვეებში დაიწყება.

— გზათა სამინისტროს გარდაუწყვეტია პასაჟირთა მატარებლის მიმოსვლა უფრო ჩქარი იყოს.

— ფინანსთა სამინისტროს გარდაუწყვეტია მომავალ წლიდგან ვაჭრობისა და მრეწველობის გასაცნობლად საზღვარ-გარედ გაჰგზავნოს ზოგიერთი ახალგაზდა, რომელთაც კომერციულ სასწავლებლებში სწავლა დაუსრულებიათ.

— პეტერბურგში აპირობენ ოქროსა და პლატინის მწარმოებელთა კანტორის დაარსებას. კანტორას აზრად აქვს ა) ცნობათა შეკრება ოქროსა და პლატინის მრეწველობის შესახებ რუსეთში, ბ) გამოიკვლიოს ის, რაც ამ მრეწველობის საჭიროებას შეეხება, გ) მრეწველთა კონგრესის პროგრამის შედგენა, დ) დაარსება ცალკე ჟურნალისა, რომელიც ოქროსა და პლატინის საქმის შესახებ ილაპარაკებს. კანტორა ოქროს მწარმოებელთა ხარჯით იწარმოებს და დაექვემდებარება მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს.

— დეკემბერს დაიწყება პეტერბურგში დამზღვევ საზოგადოებათა წარმომადგენლების კონგრესი.

უცხოეთი

ინგლისი. ლორდ როზბერიმ სიტყვა წარმოსთქვა ედინბურგში და თავისი საპოლიტიკო პროგრამა განმარტა.

ორატორს ახალი არა უთქვამს-რა. ილაპარაკა წინაამდეგ ირლანდიის ჰომრულისა კიდევ, და შეერთებულ სამეფოს დამოუკიდებელ პარლამენტებისა, საზოგადოდ; მაგრამ ამასთანავე საჭიროდ სცნო, რომ ირლანდიასა, შოტლანდიასა და უელსში შინაურ თვით მმართველობას მეტი თავისუფლება მიეცეს. ერთის სიტყვით, როზბერის აზრით, თუ ლიბერალებს ჰსურთ მთავრობის კანონმდებლობად გახდნენ, უეჭველად უნდა უარ-ჰყონ სრულებით გლადსტონის პროგრამა. მაგრამ სალისბერისა და ბალფურის სამინისტროებმა განა ნათლად არ დაუმტკიცა ქვეყანას, რომ სოციალური პრობლემები მხოლოდ ლიბერალთათვისაა ხელსაყრელი და არა უნიონისტათვის. დასასრულ როზბერიმ საყვედური გამოსთქვა სამხედრო სამინისტროს მოქმედების შესახებ.

— უკანასკნელს ხანებში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უცხოეთის მწერლობაში იმ ხმებმა, რომ რუსეთს განზრახვა აქვს პირდაპირი დამოკიდებულობა გაჰმართოს ავღანისტანთან და ქაბულში საკუთარი წარმომადგენელი გაიჩინოსო. ამბობდნენ, სხვათა შორის, რუსეთმა წინადადებაც მისცა ლონდონის მთავრობას ამის შესახებაო. თურმე ეს ხმები მეტად დაგვიანებული ყოფილა. როგორც ლორდ კრანბორნმა განაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რუსეთის მთავრობამ ეს წინადადება 1900 წ. თებერვლის 6-ს მოგვცაო. ინგლისის მთავრობას საიდუმლოდ შეუნახავს იგი და მხოლოდ ეხლა გამომჟღავნდა. რა პასუხი მისცა ბრიტანიის მთავრობამ რუსეთს, წყვდიადითაა მოცული.

საფრანგეთი. ახლახან არჩეულ პალატის კომისიამ, რომელმაც უნდა განიხილოს კონგრეგაციათა საქმეები, თავმჯდომარედ აირჩია პროფესორი ბუისსონი; ბუისსონი დიდი წინაამდეგია საკონგრეგაციო სკოლებისა.

კომისია უკვე შეუდგა თავის მოქმედებას; მან მოისმინა კომბის განცხადება და მოიწონა ასოციაციათა კანონის დამატებითი პრო-

---

ფელეტონი

ოცნება.

ბულბული რომ კოკობ ვარდზე
დაჭიკჭიკობს და ფრთქიალებს
და წამიერ—ტრფიალებას
მთელ სიცოცხლეს ანაცვალებს,

—

დამინახავს აგზნებული!
მეც მომიკრავს შორით ყური
და იმ ვარდის უნებურად
შემპარვია გულში შური.

—

მაშინ თურმე ჩემი გულიც
დაეძებდა სიყვარულსა...
სიყმაწვილის გაზაფხული
ჰოელოდა სხვა ბულბულსა.

—

გაქრა ის დრო!.. გადავიდა
სიყმაწვილე!.. მიმეფარა,
მაგრამ შური ვარდ-ბულბულის
დღეს ისევ გულს შეეპარა.

—

ვარდს შევჰყურებ, ბულბულს ვისმენ
გულნაკლული, ვით ობოლი.
ბულბულია ბონაჩიჩი
და ვარდი-კი მისი ცოლი,

ზოგიერთ ქალების მაგიერ
აკაკი.

მოახერხა.

(ამბავი)

ზაფხული იყო. მატარებელში ვიჯექ და ჩემს სამშობლო ქალაქისკენ მივეშურებოდი. დაქანცული, დაღლილი ვიწექ „ვაგონში“. ღამე ახლოვდებოდა. გარედ მშვენიერი საამური ქარი. ჰქროდა. მზეს წითლად შეეღება დასავლეთის მხარე და ალისფრად შეღებილი ცის სივრცე ბუნების დიდებულს, თვალის წარმტაც სურათს წარმოადგენდა.

ღამის ბნელი ზეწარი ქვეყანას თანდათან ეფინებოდა. ცაზედ აქა-იქ ვარსკვლავებიც ჩნდებოდნენ, მთვარეც, ეს ნაზი ფარანიც ღამისა, ნელ-ნელა მიცურავდა და თავის ოქროსფერ მკრთალ ნათელს არე-მარეს ჰფენდა. ცოტა ხნით ძილს მიცემული ბუნება კვლავ იღვიძებდა. მე ვეღარ გავძელ ცეცხლსა და სულის შემხუთავ „ვაგონის“ ჰაერში და გარედ გამოველ. მინდოდა დამტკბარიყავ ამ მშვენიერ ღამის წმინდა ჰაერით.

გარედ აივანზე დამხვდა ხუთიოდე ყმაწვილი. მათ ეცვათ ლურჯი და თეთრი ტილოს „ბლუზები“, მხრებზე წამოსხმული ჰქონდათ შავი მაუდის „პიჯაკები“. მათი პირისახის შავგრემანი ფერი, ასეთივე ულამაზო ტლანქი ხელები დაგარწმუნებდათ, რომ დიდიხანია დაეტოვებიათ სასწავლებლის კედლები და შესდგომოდნენ თავისუფლად ცხოვრების მძიმე უღლის წევასა.

მათ შუაში ჩამდგარიყო ასე ორმოც ორმოც-და-ხუთის წლის შეჭაღარავებული კაცი. ეს კაცი იყო მაღალი, მოსული და განიერ მხარ-ბეჭიანი. ცხოვრების მძიმე ტვირთს ცოტად ბეჭებში მოეხარა, მაგრამ პირველ შეხედვაზე ამას ვერ შეამჩნევდით. მისი ცოცხალი თვალები, მიხვრა-მოხვრა და ლაპარაკი დაგარწმუნებდათ, რომ ახალგაზდობაში მეტად ცოცხალი, მოძრავი და ხალისიანი ყმაწვილი უნდა ყოფილიყო. სიცოცხლე მოძრაობაში და ლაპარაკის ხალისი თითქმის აქამდე შერჩენოდა. იდგა, სწევდა თამბაქოს და ყურადღებით უყურებდა ერთს ყმაწვილს, რომელიც რაღაცას ლაპარაკობდა.

ჭაღარამ ჩემს გამოსვლაზე უკან მოიხედა, უეცრივ ფეხი-ფეხზე დამადგა და ბოდიში მოიხადა. „ნუ სწუხდებით, არაფერია-მეთქი“ და იქვე ახლოს გავჩერდი.

— ვანოჯან, ერთი ცეცხლი მომე!—მიმართა მან ერთს ყმაწვილს. ვანომ ცეცხლი მიაწოდა, ჭაღარამ მოუკიდა თამბაქოს და გააბოლა.

— რადგანაც შენ მაგაზე დაიწყე ლაპარაკი, მიუბრუნდა ჭაღარა ისევ ვანოს, მაშ მეც მათხოვე ცოტახანს ყური.

— აბა, შენი ჭირიმე, ილო! გვიამბე რამე! მიაძახეს ერთხმად ყმაწვილებმა ჭაღარას.

— ასე თვრამეტ-ოცის წლისა ვიქნებოდი, დაიწყო ილომ, საშუალო სასწავლებელში ახლად გადმოსული ვიყავ. სემინარიის მესამე კლასში ვიჯექ. კერძო სახლში ვცხოვრობდი; ჩემთან სცხოვრობდნენ კიდევ სხვა მოწაფეებიც. ჩვენი „ხაზეიკა“ მეტად სასტიკი და კაპასი ქალი იყო. ტყუილი უბრალოდ არა თუ ქალაქში, ქუჩებზედაც არ გაგვატარებდა. თავგასართობად ჩვენთან კაცი ვერ შემოვიდოდა. რა წამს შეამჩნევდა ჩვენი „ხაზეიკა“ ასეთ ვინმეს, მაშინვე შეგვიძახებდა: „წიგნი ბავშვებო, წიგნებს მოჰკიდეთ ხელიო“. გარეშე ქალს, რასაკვირველია, ხომ წამლადაც ვერ ჰნახავდით ჩვენსას შემოსულს. საშინლად სძულდა ტყუილა-უბრალოდ მოსიარულე, მაწანწალა ხალხი. მე მინდოდა გადავსულიყავ, მაგრამ, რადგან მამაჩემს ფულები ენანებოდა, ძალა უნებურად უნდა დავრჩენილიყავ ამ სულის შემხუთავ ადამიანთან.

თავისუფლად ყოფა-ცხოვრება ნეტარებად მიმაჩნდა. საშინლად მძულდა ჩემი „ხაზეიკა“, რომ მეზობლებს და ნაცნობ ხალხს ჩვენთან შემოსვლის ნებას არ აძლევდა. მე მაინც ამოჩენილი ვყავდი. გაგონილი მქონდა ჩემი სისუსტე ქალებისადმი და ამიტომ განსაკუთრებით თვალს მადევნებდა. ღმერთო, შეგცოდე, მგონი სხვანაირის თვალითაც მიყურებდა, მაგრამ რავა გამიწყრებოდა ღმერთი, როგორ გავუარშიყდებოდი: ცხვირი შავი ნუგუზალს მიუგავდა. მე მაშინ, მართალი მოგახსენოთ, კარგი ყმაწვილი გახლდით; თვალ-ტანად ერთი ბიჭი ვერ მჯობდა. პირ-ტიტველი, თმახუჭუჭა, მაღალი, ტანადი, ლოყები „ბრეწოულივით“ მიღუოთა, რომ იტყვიან: „რძე და ღვინო“ მომტიროდა სწორედ. ახლო-მახლო ნაცნობ ქალებში დიდი გასავალი მქონდა, მაგრამ დრო არ მქონდა თავისუფალი და ის მაწუხებდა.

ჩვენ წინ იდგა ერთი ახალგაზდა ქვრივი ქალი. ოც-და-თუთხმეტის წლისა იქნებოდა, მაგრამ შეხედულობით ოცისა გეგონებოდათ. ოჰ! რა იყო ი მამა-ცხონებული შვილი! ერთ ქალად მარტო თმა უღირდა! რა თვალები, რა წარბები, რა შვენიერი სწორი სახე ჰქონდა! მე მისი მსგავსი მხოლოდ სურათები მინახავს გასაყიდად გამოფენილი! შუა ტანის ქალი იყო. თავზედ ჩიხტ-კოპს იხურავდა. საკმაოდ მდიდარი იყო. ქმარს ბევრი ადგილ-მამული დაეტოვებია. ერთი კარგი მოზრდილი ქვითკირის სახლი ეჭირა, რომელიც შიგნით ლამაზად ჰქონდა მორთული.

ფუფუნებით და განცხრომით ცხოვრება უყვარდა. საქმე არაფერი ჰქონდა და ამიტომ თავისუფალ დროს ნაცნობებში სიარულს და სეირნობას ანდომებდა. მოსწონდა ახალგაზდობა და მათთან დროს ტარება. ვინ გინდა, რომ არ იცნობდა, მაგრამ უფრო განათლებულებს, ნასწავლ ხალხს, ეტანებოდა. ცუდი ხმები დადიოდა ამაზედ, მაგრამ უფრო მეტი ჭორი იყო. ხომ მოგეხსენებათ ჩვენი უსაქმო ხალხის ამბავი: უჭოროთ ვერ გასძლებს!.. უნდა მოგახსენოთ მეტის-მეტი არშიყი-კი იყო!“

აქ ილო ცოტად შეჩერდა, თუთუნი მაგრად მოსწია და ერთიც ჩაახველა, რადგანაც მაგარი თუთუნის ბოლი ჩვეულებრივზე მეტი გადასცდა პირში და ისევ განაგრძო:

— ქვრივს თუმცა კარგად ვიცნობდი, მაგრამ მაინც და მაინც დაახლოვებული არ ვიყავ.

მასთან არ დავიარებოდი და ისიც ნაკლებ სტუმარი იყო ჩვენი. ი ბოროტი სულის, ჩემი „ხაზეიკასი“ ერიდებოდა. გზაზე თუ სადმე შევხვდებოდი, თორემ ისე ნაკლებად ვნახულობდი. ვიცოდი-კი, მოვწონდი. ხშირად, როცა ეზოში ვმეცადინეობდი, თავის აივანზე გადმოდგებოდა და თვალს არ მაშორებდა. ზოგჯერ ძირსაც ჩამოვიდოდა და ჩუმად პატარა კენჭებსაც მესროდა. მე ჭკუაზე ვიშლებოდი. მინდოდა მივსულიყავ და მელაპარაკნა, მაგრამ რა უნდა მექნა, ათასი თვალი

ექტი მთავრობისა, თუმცა ცოტაოდენი ცვლილებაც მოახდინა შიგა და შიგ. დასასრულ ამორჩეულ იქმნა პირველ კომისიის თანაშემწედ კიდევ ახალი კომისია, რომელიც ხუთი კაცისაგან შესდგება. ამ ახალ კომისიის მოვალეობაა განუწყვეტელი მიმოსვლა იქონიოს მინისტრ-პრეზიდენტთან და ყოველგვარი ცნობები ცერთით მიაწოდოს ხოლმე მთავარ კომისიას.

ავსტრია-უნგრეთი. ძველ-ჩეხთა გაზ. „Politik“-ი შემდეგს რჩევას აძლევს მთავრობას, რომ როგორმე დააღწიოს თავი იმ უკიდურესს გაჭირვებას, რომელშიაც იგი ჩააგდო კერბერის პროექტმა ენათა შესახებ:

„კერბერმა უნდა განაცხადოს,—მე ოფიციალურად არ წარმიდგენია რეიხსრატში ჩემი პროექტი ენათა შესახებ, რომელიც ჩეხებმა უარ-ჰყვეს, და განზრახვა მაქვს, ეს საქმე სრულიად სხვა საფუძველზედ დავამყარო: მხოლოდ ამ შემთხვევაში დასცხრებიან მოპირდაპირენი, და შესაძლო იქნება დროით შევუდგეთ საერთო საჭირო საქმეების განხილვას“.

შეერთებული შტატები. ამ უკანასკნელ ხანებში შესწყდა მოლაპარაკება კოლუმბიასთან პანამის არხის შესახებ.

გარდა იმისა, რომ შეერთებულმა შტატებმა შედარებით მეტად მცირე თანხა შეაძლია მას არხის გასაყვანად, კოლუმბია მითაც დიდად უკმაყოფილოა, რომ შტატებმა პანამის ყელზე თავის პოლიციის ჩაყენება მოიწადინა. ვაშინგტონის გარეშე საქმეთა სამინისტრომ აცნობა დეპეშით ბოგოტაში მყოფ თავის ელჩს, კოლუმბიის ელჩს ჯერაც არ გადმოუცია ჩვენთვის ნოტა და, ალბად, დამატებით ცნობებს ელისო. ვაშინგტონში იმ აზრისანი არიან თურმე, რომ არხის გაყვანას მალე შეუდგნენ; კოლუმბიის უარობა მაინცა და მაინც ხელს ვერ შეგვიშლის, რადგან სპენცერის ხელშეკრულობა სრულს უფლებას გვაძლევს ატლანტისა და დიდი ოკეანე არხით შევაერთოთო. საქმე მხოლოდ ისაა, რა მიმართულება მიეცემა ამ არხს. შეერთებულ შტატებს შეუძლიათ ნიკარაგუასა და კოსტა-რიკას რესპუბლიკებს შეეკრან პირობით, თუ ნიკარაგუაზე მოისურვეს არხის გაყვანა, ანა და პირდაპირ ფრანგთა პანამის კამპანიისაგან შეისყიდონ კონცესია, და შეუდგნენ საქმეს; უკანასკნელ შემთხვევაში მათ ვერავინ წაედავება, რადგან საკუთარ მამულით სარგებლობა ყველას ისე შეუძლია, როგორც მასა ჰსურს. მხოლოდ შეერთებული შტატები ჯერჯერობით ყოყმანობენ, რადგან ეს მიმართულება ნაკლებ სასურველია მათთვის, ვიდრე პირველი.

მაკედონია. სოფიაში მეამბოხეთა ბანაკიდგან მოსულა ცნობები პირინის მხარეში ამბოხების სწრაფად გავრცელების შესახებ. მეამბოხეთა რაზმებს მეთაურობენ ნიკოლოვი, სტოიანოვი, საევი, სარვინოვი, დარვინგოვი, ცინჩევი, კუტრული, ალექსი, პეხლივანოვი, პაპალიევი, პოპოვი, ათანასიევი, სტოიანჩოვი, პროტოგეროვი, ლეფტეროვი, ზოგრაფოვი, ისაოვი და მრავალი სხვა გამოცდილი მხედარი; იგინი მოედვენ მთელს აღმოსავლეთ მაკედონიას და მედგრად, შეუპოვრად მოქმედობენ. დღითი-დღე მატულობს აჯანყებულ გლეხთა რიცხვი. ახლად შემდგარ ბრბოების უმეტესი ნაწილი გამოწყობილია ომებში ნადავლ ოსმალეთის ჯარის კაცთა ტანთ-საცმელით და მათისავე თოფებით არიან შეიარაღებული. აშკარაა, რომ მეამბოხეებს ბევრი მწარე დღე დაუყენებიათ ოსმალებისათვის. იგინი თან-და-თან მხნევდებიან. ოსმალეთის ჯარი შეშინდა: თუ-კი მოახელეს, ყველგან გაურბიან მეამბოხეთა შეიარაღებულ ბრბოებს; სამაგიეროდ ოსმალნი, ღვთის რისხვასა სცემენ მშვიდ მცხოვრებთ თავიანთის მხეცურის საქციელით. ბულგართა სოფლების განადგურებით აღელვებული და გაბრაზებული მეამბოხენი გამძვინვარებულ ლომებივით ეტევებიან ოსმალთ და უმოწყალოდ ავლებენ მუსრსა. სტრუმის მარჯვენა ნაპირი ვარდარამდის სულ აჯანყდა. შესდგა ორი ბანაკი მეამბოხეთა: ერთი მათგანი მოქმედობს მდინ. სტრუმის მარჯვენასა და მეორე მარცხენა ნაპირზედ, მთავარ-სარდალი და ხელმძღვანელი ომისა გამოცდილი გენარალ ცონჩევია. ამ დღეებში სოფ. ზაგორიჩანეს (კოსტურის მაზრა), დივა ჩერეშას მთაზედ მოხდა სამაგალითო ბრძოლა 12 ახალგაზდა განათლებულ მეამბოხეთა და 250 ოსმალოს შორის. ახალგაზდა მეამბოხეებს კარგი სიმაგრე ეჭირათ. უთანასწორო და მასთან გმირულმა ბრძოლამ ოთხ საათს გასტანა. 12-ვე მეამბოხე გმირულად დაიხოცა: სამაგიეროდ 58 ოსმალი ინაცვალეს ამ ბრძოლაში. ამ მამაც ახალგაზდებს პეტრე გაიკოვი ჰბელადობდა.

ბულგარია. სოფიის „დღიურს“ კიუსტენდილიდან სწერენ, აქაურ თოფის წამლის საწყობს მთელი როტა ჯარის-კაცთა სდარაჯობსო. ეშინიანთ მაკედონელების დაცემისა, როგორც 1895-ში მოხდა.

— იმავე კორესპონდენტს დანამდვილებით შეუტყვია, რომ ბულგარიის განსაკუთრებული კომისია გაუგზავნია აჯანყებულთა ვითარების ადგილობრივ გამოსაკვლევად; მათთვის დაუვალებიათ აგრედვე დაწვრილებით აღწერა ოსმალთაგან მაკედონიის მცხოვრებ ბულგართა ტანჯვა-წამებისა.

— ამავე კორესპონდენტის სიტყვით, კიუსტენდილის მაზრის უფროსს სოფიიდგენ საიდუმლო დეპეშა მიუღია სამხედრო მინისტრისაგან—ბულგარიის ჯარებს ბევრი ოფიცერი დააკლდაო. ეჭვი არ არის, რომ იგინი მაკედონიაში გადავიდნენო. ეცადეთ და საზღვარს იქით არვინ გაუშვათო, თუ ვინმემ მოიწადინა ძალით წასვლა, შეიპყრეთ და დატუსაღებული სოფიას გამოგზავნეთო: კიუსტენდილის მეციხოვნეთაგან სამი უნტერ-ოფიცერი გაიპარა და გენერალ ცონჩევის რაზმს შეუერთდა მაკედონიაში.

— ათინიდან სოფიას დეპეშით სწერენ: ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრ დანევის მტკიცე თხოვნის გამო მთავრობამ გაანთავისუფლა საბერძნეთის პოლიციის მიერ უკანონოდ დაპატიმრებული სოლუნელი ბოლგარელი ექიმი დ—რ ტატარჩევი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

„მაღლა აღმართსა ხნავს“ კომ. 4 მოქმ. ვ. გუნიასი და „არივ-დარია“ ვოდ. 1 მოქ. ზემოხსენებულ კომედიის სიავ-კარგის შესახებ ბევრი რამ იყო ნათქვამი წინად ჩვენს გაზეთში და მიტომ აქმის განხილვას არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „მაღლა აღმართსა ჰხნავს“ ლაზათიანი და შინაარსიანი ნაწარმოებია, და თუმცა აზრი რუსულ პიესიდგან (Женитьба Бѣлугина) არის აღებული, მაგრამ ავტორს იგი ხელოვნურად შეუხამებია ჩვენი თანამედროვე ცხოვრებისათვის, რის გამოც, როგორც მთელს ნაწარმოებს, აგრეთვე კერძოდ აღებულ თითოეულ მომქმედს, ქართული სული უდგას და ქართული ელფერი ადევს.

ეჭვ-გარეშეა, ეს პიესა ქართულის სცენისათვის სარეპერტუარო პიესად გახდება, განსაკუთრებით-კი იმიტომ, რომ ჩვენი მსახიობნი საუცხოვოდ თამაშობენ და იშვიათის ზედმიწევნით იციან თავიანთი როლები. საზოგადოდ რაც ასე იშვიათია ჩვენს დასში.

მოთამაშეთა შორის უპირველესი ადგილი თვით ავტორს უნდა დაეთმოს. ვახტანგ მარნიშვილი მისის გადმოცემით ცოცხალი, მოძრავი ბუნების ადამიანია, მხნე და სათნო ხასიათისა. ვახტანგი თვალნათლივ გვიმტკიცებს, რომ იგი ისეთი ძალაა რომელსაც შეუძლიან აღმართის მოხვნა, ე. ი. მორჯულება ცოლისა, რომელიც ტუჩ-აბზეკით უყურებს ვახტანგს, რადგანაც იგი გამდიდრებულ მეკარხნის შვილია და არა თავადი.

ბ-ნმა გუნიამ ხელოვნურად აღნიშნა ორგვარობა ვახტანგის სულიერ ვითარებისა. პირველს ორს მოქმედებაში იგი, ცოტა არ იყოს, მოუხეშავია, გაუბედავი, „უმანერო“, თითქმის სასაცილო, რადგანაც უზომო სიყვარული კნიაჟნა თამარისადმი ჰბორკავს მის გამჭრიახობას. მერე-კი, როცა საქმე იქამდის მივა, რომ ცოლსა ჰხედავს უკუღმართ გზისაკენ მიმართულს, შემოიკრებს მთელს თავისს ძალ-ღონეს და ეს გაუბედავი კაცი ერთბაშად მთასავით გაიზრდება და თვისის ზნეობრივის ძალ-ღონით მოაქცევს თამარს.

თამაშობა ბ-ნ გუნიასი იყო სადა და ამასთანავე მგრძნობიარე; იგი საზოგადოებას ხან აცინებდა, ხან ატირებდა.

ბ-ნი ივანიძე საუცხოვო ზაზა მარნიშვილია—(მამა ვახტანგისა), დარბაისელი, პირდაპირი და ცხოვრებაში გამოცდილი. თითოეულ სიტყვას მსახიობისას ეტყობოდა დაკვირვება და სათანადო შეგნება. მესამე მოქმედებაში მამა-შვილის შეხვედრის სცენა ისეთის გრძნობის გამჭვალვით ჩაატარა, რომ მაყურებელნი აცრემლა.

დანარჩენი მსახიობნიც ყველანი (ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა კარგარეთელისა, გამყრელიძისა და ა. შათირიშვილი) ხელს უწყობდნენ ამ ორ მსახიობთა.

საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა, როგორც თვით პიესით, აგრედვე მსახიობთა თამაშით.

კომედიის შემდეგ წარმოადგინეს უშინაარსო, მაგრამ ძალიან სასაცილო ვოდევილი „არივ-დარია“, რომელშიაც მსახიობთ მხიარულად ითამაშეს. მშვენიერნი იყვნენ განსაკუთრებით ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ვ. გამყრელიძე და დ. აწყურელი; კარგი იყო აგრეთვე ქ-ნი რონელი გოგოს როლში.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

სახალხო თეატრი. კვირას, 27 ოკდომბერს, ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში სცენის მოყვარულებმა ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოადგინეს აზიანის „გაცრუებული იმედები“. გაბუნია-ცაგარლისა და ნიკო გოცირიძე, პირველი—ნინოსი, მეორე-კი—სტეფანეს როლებში შეუდარებლები იყვნენ. კარგი იყო აგრედვე სარჯველაძე, რომელმაც გაბოს როლში ცოცხლად ჩაატარა ბევრი ადგილები და შთაბეჭდილება გააორკეცა. დანარჩენი მოთამაშენი მკრთალად თამაშობდნენ.

დასასრულ კონცერტი გაიმართა. ქართულმა მომღერალთა გუნდმა რამდენიმე სიმღერა სთქვა. წაიკითხეს აგრედვე ლექსები და ბ-ნ ბარათაშვილმა ფორტოპიანოზე იმღერა, რითიც დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. ბ-ნმა კ. მესხმა წაიკითხა იმერული სცენა.

თეატრში ცოტა ხალხი იყო.

ა—ნა.

ნარკვევი

რუსეთი ეპირება, თვისის ხან-დაზმულის მწერლობის 200 წლის არსებობის იუბილეი იდღესასწაულოს ეს გარემოება საბუთს აძლევს გაზ. „რუს. ვედ.“-ს გაიხსენოს რუსეთის ჟურნალ-გაზეთობის თავ-გადასავალი, მისი ბედი და უბედობა.

„ჩვენის მწერლობის თავ-გადასავალიო,—ამბობს გაზეთი,—ჯერ კიდევ თავისს ისტორიკოსსა და მკვლევარს ელისო. თუ მკვლევარმა ნიჭიერის კალმით აღწერა ბედი და უბედობა ჩვენის ჟურნალ-გაზეთობისა და თან თვისი აღწერა საზოგადო ისტორიასაც დაუკავშირა, ბევრი რამ საგულისხმიერო და ფრიად საინტერესო აღმოჩნდება ასეთს გამოკვლევაში. მწერლობის ისტორიაში, ეჭვი არ უნდა, სჩანს საზოგადო აზრის განვითარებაცა, ქვეყნის განათლების წინსვლა, ერის თვითცნობიერების ზრდა. თუმცა მრავალი ხელ-შემშლელი გარემოება ეღობებოდა წინ, თუმცა საზოგადოება გულ-გრილად ეკიდებოდა, თუმცა ასე თუ ისე თავს ისაულებივით ადგნენ და ძალად-მაცხოვნეობას უწევდნენ. მაინც დროგამოშვებითი მწერლობა თან-და-თან ვითარდებოდა, მრავლდებოდა რიცხვით და რაოდენადმე მაინც ახერხებდა საზოგადოების სამსახურს და ხელს უწყობდა მის განათლებას, თვით-ცნობიერებას. ასეთი სამსახური მცირე შრომასა და გარჯას არ მოითხოვდა. მწერლობამ ბევრი მწუხარება გამოიარა ამ ეკლიანს გზაზედა, ბევრი მსხვერპლი გასწირა და ბევრნაირი წამება გამოიარა, მაგრამ ძვირფასი ნაყოფიც გამოიღო საზოგადო აზრის განვითარების ასპარეზზედ. შესაძლოა ვისურვოთ, რომ განზრახულმა იუბილეიმ მეტი ყურადღება მიაქციოს მწერლობას, როგორც გამომხატველს კულტურულ საზოგადოების ცხოვრებისას და აზრისას.

ამავე საგანს შეეხება გაზეთი „Волынь“-ი.

აგერ მალე იუბილეი იქნება მშობლიურის პრესისა. დადგა მაშასადამე დრო, როცა საბაბი გვაქვს გავითვალისწინოთ, რა გააკეთა მწერლობამ და თავი თავს მოვუყაროთ მის მონაღვაწეებს. იუბილეის აზრი ეს არის მხოლოდ. როგორც ყოველის შესამჩნევის საზოგადო მოღვაწის იუბილეიზედ თავი-თავს ვუყურით იმას, რაც მოღვაწემ გააკეთა, რათა შევატყობინოთ საზოგადოებას. შთამომავლობას, რა მნიშვნელობა აქვს მოღვაწეს, ისე მწერლობის იუბილეიზედ. თავის-თავს მოყრა მისის ნამოღვაწევისა უპირველეს საქმედ უნდა იყოს მიჩნეული.

გარნა რა გრძნობით უნდა შევუდგეთ მწერლობის დაფასებას? შეგვიძლიან განა სიხარულით მივიხედ-მოვვიმეთოთ გარშემო და ვსთქვათ: დიაღ, ჩვენი მწერლობა იზრდებოდა, ფართოვდებოდა ღრმად იდგავდა ფესვებს იმ აღთქმის შესასრულებლად, რომელიც დაუტოვა ერთმა უკეთესმა რუსთაგანმა. სახელდობრ რადიშჩევმა?

თქმა არ უნდა, მწერლობა რაოდენობით მეტის მეტად გაიზარდა. ურიოდე გამოცემის ნაცვლად, რომელიც გვებადა 200—100 წლის წინად, რომელთაც სულ ბევრი ათასი ხელის-მომწერი ჰყავდათ, ახლა ასობით გვაქვს გამოცემანი და ამ გამოცემათ მილიონობით ჰყავს მკითხველები.

ვიმეორებთ. ძალიან კარგად ვიცით, ვითარება რუსსმულისა, რომელშიაც მიმდინარეობს ცხოვრება. და ამიტომ ვბედავთ და ვამბობთ, რომ იუბილეიზედ არ ექმნება ადგილი სიხარულს, ლხენასა და ხადილს.

გაზეთის აზრით, იუბილეიზედ გულ-წრფელად და პირუთვნელად უნდა გამოირკვეს, რაც მწერლობას სასიკეთო გაუკეთებია და საჯაროდ უნდა აღიარებულ და მონანებულ იქმნას ის ნაკლულევანება, ცთომა და ბიწიერებაც, რომელიც მწერლობას ემჩნეოდა და ემჩნევა დღესაცაო.

ნარევი და ნაკვესი

გეტე, მარქსი რაღად გვინდა,
რაფაელი, ან-და ვინჩი?
რას გვარგიან?! მათ მაგიერ
დღეს ჩვენა გვყავს ბონაჩიჩი!
ჩვენსა ქალებს, ჩვენს საქმეზედ
არ წასცდება არცა ინჩი;
აბა, ახლა შეეკითხეთ,
როგორ მღერის ბონაჩიჩი!
ჩვენ „მოღვაწეს“ (აბა რა ჰქმნას?)
ამოძრავებს bona ჩიჩი *)...
საზოგადო საქმეთ იქცა
დღეს ტფილისში ბონაჩიჩი!
პატარა-კი დღეს ტიტინებს:
„მამა-ცემო... მეცა... ვიჩი“...
ალბათ იცის, დედას ღმერთად
გაუხდია ბონაჩიჩი.
პარნასზედა აათრიეს
ერთხელ ჩვენი „ივანიჩი“...
მაგრამ... სად ის... და სად „დუშკა“
საარაკო ბონაჩიჩი?!
სახლში ვედარ გვაჩერე:
ცოლი, შვილი, „კუხნის“ ბიჭი...
უველა ერთად შემოგვძახის:
ჩვენც გვაჩვენე ბონაჩიჩი!!
აგრედ თან გვდევს არ გვასვენებს,
ვით ფუტკარსა მავნე ჩიჩი...
ღმერთო! რისთვის მოგვივლინე
ჩვენ სასჯელად ბონაჩიჩი?!!

ქოჩო.

წერილი

რედაქციის მიმართ

I

ნიჭიერსა და სიცოცხლით სავსე იმერეთში, ერთი დიდი სენია, რომელიც, გადამრუდებულ არჩევნებს, ესე იგი დღევანდელ კენჭობას თან მოჰყვა. ეს ქვეყნის მავნე სენი გახლავთ „პარტიობა“. სხვა-და-სხვა წრეებს თავიდამ ფეხებამდი საპირადო იარაღით აღჭურვილებს, ვითომ-და საზოგადო სახელით, გამოჰყავთ მოგანგაშეები-და, თუ მათთვის სასარგებლოა, გინდ უღირსიც ვინმე იყოს, ცამდის აჰყავთ და ღირსეულს-კი, რომელიც მათ პარადობას არ არგია, ქვესკნელში აძვრენენ.—ავი და კარგი, მართალი და ტყუილი ცილის წამება და უსაფუძვლო ქებათა-ქება—ყველა ერთად, დომხალივით არის ჩვენში არეული და მიტომაც სიტყვას თავის თავად გასავალი აღარა აქვს-რა, თუ ზედნადებიც რამ არ მოჰყვა. მარ-

---

*) Bona ჩიჩი—გემრიელი ლუკმა.

მიღარაჯებდა. ვითმენდი და უკეთეს შემთხვევას ვუცდიდი. ვატყობდი, რომ ისიც სწუხდა.

ერთხელ ეზოში ვმეცადინეობდი. გარედ არავინ იყო. ქვრივმა ეს შეამჩნია, ქუჩაზე ჩამოიარა, ჩემს პირდაპირ გაჩერდა, უცბათ რაღაც დაკეცილი ჩემკენ ისროლა და გასწია. მე ხელი დავტაცე ნასროლს; ავიღე ქაღალდი იყო; გავშალე და შემდეგი წავიკითხე: „ხვალ თქვენსას ვარ, მიცადე, უსათუოდ მოვალო“ ამ ამბავმა უსაზღვროდ გამახარა.

გათენდა კვირა; ქვრივს მოუთმენლად ველოდი, მაგრამ ქვრივი არსად იყო. საშინლად მეწყინა მისი მოუსვლელობა.

დილით ადრე მის ნაცვლად ჩემი „ხაზეიკა“ შემოვიდა ჩემთან და მითხრა: „შენთან ცოტა საქმე მაქვსო“. ცუდ ხასიათზე ვიყავ. „ეშმაკმა წაგიღოს შენც და შენი საქმეც-მეთქო“, ვიფიქრე გუნებაში. ვერ წარმომედგინა, რა საქმე უნდა ჰქონოდა ჩემთან. ხარჯის ფული მიცემული მქონდა. „და თუ მეორე თვისა მოითხოვა—შავს ქვასა და ნაცარ-ცხელს მივაბნევ მეთქი“, ვსთქვი გუნებაში. „მობრძანდით, ვუთხარი, და სკამი მივაწოდე. დაჯდა. სახე უღიმოდა. ეტყობოდა, რომ ფულისათვის არ იყო მოსული.

— იცი, შვილო!—მითხრა მან,—ისეთის საქმისთვის მოვედი, რომ სწორედ გესიამოვნება. დღეს მარომ, ჩვენმა მეზობელმა ქვრივმა, მიმიხმო და ერთი საქმე გადმომცა; საქმე, როგორც თითონ ამბობს, თუ მართალია, სწორედ კარგი საქმეა...

ვიფიქრე: „ალბათ ქვრივს ჩემი ნახვა უნდა და ეჭვის ასაცდენად რაღაც მოუშიზეზებია-მეთქი“.—რა საქმე უნდა იყვეს-მეთქი?—გავაწყვეტინე სიტყვა.

„ხაზეიკამ“ თავსაფარი გაისწორა, სკამი ჩემკენ მოსწია და მითხრა: „აი რა საქმეა: ერთს კარგად შეძლებულს და ფრიად პატიოსან კაცს გაუგია თქვენი ნიჭი და პატიოსნება... (რის ნიჭი, რის პატიოსნება, ორ-ორ წელიწადს ვრჩებოდი თითო კლასში, დაუმატა სიცილით ილომ), გაუგია თქვენი ღირსეული შთამომავლობა, მამა-თქვენის ყოფა-ცხოვრება, სახელი და მოუსურვებია თქვენი დამოყვრება. უთქვამს: „უსათუოდ მოყვრად უნდა გავიხადოო. მე ეს ამბავი მარომ გადმომცა და თქვენთან გამომგზავნა შესატყობად, თუ რას იტყვით, თითონ ჩემს ოთახში გიცდით, თუ გნებავსთ, დავუძახებ“.

— უნდა მოგახსენოთ,—მიჰმართა ილომ ყმაწვილებს,—რომ იმ დროს სემინარიის მოწაფეებს შორის ძლიერ გავრცელებული იყო ქალის დანიშვნა. გადავიდოდა თუ არა ყმაწვილი მეორე ან მესამე კლასში, თუ-კი ცოტაოდნად შესახედავი იყო, გაიმართებოდა ერთი მაჭანკლობა, მისვლა-მოსვლა და ბოლოს საქმე მით გათავდებოდა, რომ ამისთანა ყმაწვილი დაჰნიშნავდა ქალს და მერე საცხოვრებლად სასიმამროსთან გადავიდოდა.

როცა „ხაზეიკამ“ ეს ამბავი გადმომცა, ვიფიქრე: „მაროს სწორედ ამ გზით გადაუწყვეტია ჩემთან დაახლოვება-მეთქი.“

ქალის დანიშვნა არ მინდოდა, რადგანაც არც იმდენად ღარიბი ვიყავ და თანაც არც არავინ მყავდა არჩეული. მაგრამ ქვრივის სიყვარული მკლავდა და ამიტომ სრული თანხმობა გავაცხადე მოვლაპარაკებოდი.

— მაჩვენეთ, მარო, მოველაპარაკები,-- ვუთხარი „ხაზეიკას“.

ჩემი მასპინძელი ხელად გაიჭრა კარებში ქვრივის მოსაყვანად. მე მიხაროდა ქვრივის ნახვა. გული სიამით მიძგერდა, მინდოდა, რაც შეიძლება, მეც ყოჩაღად დავხვედროდი, მოლამაზებული. ამოვიღე ჯიბის სარკე, პატარა „შჩოთკი“, სავარცხელი და დავუწყე თავს და ახლად ამწვანებულ ულვაშებს ბარცხნა და სწორება. ცოტა ხნის შემდეგ ჩემს ოთახში შემოვიდა ქვრივი; მას შემოჰყვა ჩემი „ხაზეიკაც“. მარომ სალამი მომცა, მე სკამი გავუწოდე, და დაჯდა. „ხაზეიკა“ ჩემს „ლოგინზე“ მოთავსდა და მოლასავით მოირთხო ფეხები.

რამდენადაც უშნო და ულაზათო იყო ეს ჩემი კაპასი „ხაზეიკა“, იმდენად მშვენიერი და მოხდენილი რამ იყო ქვრივი. მას უბრალო ჩითის კაბა ეცვა. თავზე თეთრი აბრეშუმის ნაქსოვი ეხურა, მაგრამ ეს უბრალო ტანსაცმელიც-კი უხდებოდა მის ლამაზ თვალ-ტანადობას. გეუბნებით, ყმაწვილებო, ერთობ კარგი სანახავი ქალი იყო!

— აა, გამარჯობა ილოს!—მომმართა ქვრივმა თამამად და ხელი გამომიწოდა. რასა იქთ? ხომ კარგად?.. ერთს ცოტა საქმეზე უნდა შეგაწუხოთ!.. თქვენი „ხაზეიკა“ გადმოგცემდათ.

მე ცოტად დავიბენი, გავწითლდი, მაგრამ ისევ მალე შევიკრიბე აზრი და ვუთხარი: „დიაღ, გადმომცა; საჭიროა მხოლოდ... „აი მეც ამ საჭიროებისათვის მოვედი“,—გამაწყვეტინა სიცილით ქვრივმა,—„მინდა ყველაფერი შეგატყობინოთ და გავიგო, ისურვებთ თუ არა“.

ისე თამამად მელაპარაკებოდა, გეგონებოდათ თავის ნათესავს ელაპარაკება სულ უბრალო რამეზეო.

— უნდა მოგახსენოთ,—მეუბნებოდა ის,—თუ საქმე რიგიანად მოჰხარხდა, ნანვას არდაიწყებთ, ძლიერ სასიამოვნოდ დაგრჩებათ... არ გეგონოს-კი, ვითომ მაჭანკალი ვიყო!.. ღმერთმა დამიფაროს! რა ჩემი საქმეა!.. აბა შენ თვითონ არ იცი, რა მაჭანკალიცა ვარ? —მიუბრუნდა ჩემს „ხაზაიკას“, რომელიც მელასავით შემომცქეროდა და თვალს მადევნებდა ქვრივთან ლაპარაკის დროს. ჩემმა «ხაზეიკამ“ მხოლოდ თავი დაუქნია მოწმობის ნიშნად.

— სად მცალიან, ბიჭო, სამაჭანკლოდ?!.. განაგრძო ქვრივმა, ხომ მოგეხსენებათ ქვრივის ცხოვრება: ათასი საქმე მაქვს... თუ გავარიგებ და ვიტყვი რამეს, ისევ ჩემს ნათესავებზედ... შენთვის, ილო, ისეთი საქმე გავიგე, რომ ძლიერ მადლიერი გამიხდები, თუ გავარიგე!.. რომ იცოდე, რა ქალს გირიგებ?!. ნახატია რაღა!!. სილამაზეზე ლაპარაკს ნუ დამიწყებ! ერთის შეხედვით თვალს მოგჭრის!.. რას იტყვი, დავიწყო?

ისეთის სარწმუნო კილოთი ლაპარაკობდა ქვრივი, რომ ჩემი „ხაზეიკა“ მარტო თვალებად გადაქცეულიყო. მთლად ერთიანად დარწმუნდა, რომ ქვრივი რაღაც კარგ საქმისათვის მოსულიყო. მეც ეჭვში შევედი.

— თუ ეგრეა, ქალბატონო,—დაიწყეთ-მეთქი.

— იქნებ იფიქრო, ილო, განაგრძო ქვრივმა რომ ამ საქმისათვის რამე გთხოვო? მანამ სულიც ამომხდეს! რა საკადრისია?!. განა ფულს ვემსახურები?! ფული-კი არა, კეთილი გული, სიყვარული, აი ამისთვის მოვკიდებ ხელს ამ საქმეს.

ყველა ამის თქმა ქვრივს დასჭირდა ჩვენდა დასარწმუნებლად, რომ ნამდვილად კარგ საქმისათვის მოსულიყო. მე მინდოდა მხოლოდ საქმე დიდხანს გაჭიანურებულიყო და ქვრივს მეტ ხანს ეარნა ჩვენსას და ამიტომ შევეკითხე:

— არ იცით, ვისი ქალია?

— მე ქალს კარგად არ ვიცნობ,—მიპასუხა,—მაგრამ ყველაფერს გავიგებ დაწვრილებით. ეს ამბავი საიდუმლოდ გადმომცა ჩემმა მეგობარმა ქალმა; ხომ იცი, ასეთს საქმეში არაფრის გახიახება არ ვარგა?! მე მინდოდა მხოლოდ თქვენთვის მეთქვა და გამეგო, რას იტყოდით; თუ ისურვებთ ყველაფერს მოვახერხებ.

— ძლიერ კარგი, თანახმა ვარ, თუ რომ კარგი საქმე იქნება.

— ლაპარაკი არ არის საჭირო,—მითხრა, გამომემშვიდობა და წავიდა. დამპირდა, სალამოს მოვალ და ყველაფერ გეტყვიო.

ჩემთან დარჩა ჩემი „ხაზეიკა“. საწყალი, მთლად ერთიანად მოეჯადოებია ამ ქალს. რას არ მელაპარაკებოდა ქვრივის შესახებ, მარწმუნებდა, რომ ქვრივი ძლიერ პატიოსანი ქალია, რომ ცუდს არ მოინდომებს შენთვისაო.

გერ. ხაჟომია.

(დასასრული იქნება)

თლა, ჩვენში ძვირად შეხვდებით მისთანას, რომ ავიც და კარგიც შეგნებული არა ჰქონდეს და ტყუილსა და მართალს ვერ არჩევდეს, მაგრამ მაინც, საზოგადოდ დალატოსენ თავისს საკუთარს შეგნებასა და აზრს. და ეს სულ იმ ზედნადების ბრალია. ეს ვაჟბატონები გამოტეხილი არიან: ვიცით, ვხედავთ, სადაც არის სიმართლეო, მაგრამ ჩვენი საქმე და გარემოება ცოტა კრიმანჭულად არის და ვეღარ ვახერხებთ, რომ ხელიდგან დავუძვრეთ ამა თუ იმ კერძო პირის ნება-სურვილს. შეგნებული ჭირი ადვილი გადასაკვეთია და, რადაი-კი ჩვენს ხალხსაც შეუგნია თვისი საჭირბოროტო ავ-კარგი და მხოლოდ გარემოება უშლის ხელს მისს სწორ-მხედველობას, საგულისხმოა, რომ, შეიცვლება, თუ არა გარემოება, ხალხიც სიმართლესაკენ გაიწევს და ის უკუღმართობა, რომელიც დღეს ცეცხლს უკიდებს ჩვენ საქმეებს, ჩაქრება-ჩანელდება, რომ ზოგიერთა ქართულ ჟურნალ-გაზეთები არ უბერავდნენ სიცრუით გაბერილ საბერველებით. მიკვირს, როგორ ავიწყდებათ, რომ ბეჭდვითი სიტყვა ჩვენში ჯერ კიდევ უმრავლესობას სახარების ჭეშმარიტება ჰგონია და სწამს? რატომ მომეტებულის სიფრთხილით არ არჩევენ სხვა-და-სხვა კორესპონდენციებს და ვინც უნდა რა გამოგზავნოს, ჰბეჭდვენ? მაშინ, როდესაც უფრო ხშირად კორესპონდენციები ჩვენში სულ სხვა მოსაზრებითა და განზრახვით იწერებიან ხოლმე და არა შესაფერის ღირსებით!.. ამაზედ დამემოწმება ყველა, ვინც-კი გულდასმით წაიკითხავს „ივერიი“-ს № 222-ში დაბეჭდილს ბ-ნ ჯამბაკურ გურიელის გულწრფელსა და საგულისხმო წერილს რედაქციისადმი.

ამგვართაგანივეა იქვე, მახლობლად მოყვანილი მეორე წერილი ზემო იმერეთიდგან: „ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის რევიზიის“ შესახებ. ავტორი სიმართლითა და სიყვარულით შეამკობს ყოვლად სამღვდელო ლეონიდის—მოციქულებრივ მოღვაწეობას, რაშიაც ჩვენც ყველანი თანავუგრძნობთ. მაგრამ, ნუ-თუ შეუძლებელია ერთის ქება ისე, რომ მეორე არ გაილანძღოს? და ერთის ამაღლება მეორის დაუმდაბლებლად? აი სხვათა შორის რასა სწერს კორესპონდენტი: „ზემო იმერეთში ბევრი სოფელი მისთანა იყო, რომ ოცი-ორმოცი წლის განმავლობაში არც-კი ღირსებოდა მღვდელ-მთავრის რევიზიასა და ხილვას; ბევრნი მისთანა სამღვდელონიც იყვნენ, ათი წლობით და მეტიც არ ეხილათ არც ერთი მღვდელ-მთავარი. უმეტეს ნაწილად მათ მეუფებას ხვდებოდა ცარიელი ეკკლესიები, გარდა კედლებისა მათში არაფერი იპოებოდა, არც მხატვრობა და არც არავეთარი სამკაული. ამ ნაკლულევანებას ისე შეჩვეულნი იყვნენ მღვდელნიც და ერიც, თითქმის აღარც-კი ჰფიქრობდნენ, რომ ამ ნაკლს შევსება უნდაო. ბევრი სოფელი მოკლებული იყო მხნე და პატიოსან მოძღვარს! „ამაებს ყველას მიაქცია ყოვლად სამღვდელომ ყურადღება და ბევრს ეკკლესიაში იქმნა აღკრძალული მღვდელ-მოქმედებაო“, და სხ.. ეს ყოლიფერი გასაკვირველად მომაჩნია!.. ზემო-იმერეთში დავბერდი და დღემდი ამგვარი რამ არა თუ არ მინახავს, ამბავიც არ გამიგონია!! აღარც ეკკლესიები ყოფილან, აღარც მღვდლები და აღარც ქრისტეს მორწმუნე ერი ყოველისფერი მივიწყებული ყოფილა!.. ამ ორმოცი წლის განმავლობაში ყოველიფერი დამხობილა და ახლა, მხოლოდ დღეს მიუქცევიაო ყურადღება?... ამაზე მეტი რაღა უნდა სთქვას მტერმა?! რომ ეს ყოლიფერი ცილის-წამებაა მღვდელმთავრებისაც, მღვდლებისაც და ერისაც ამის დამტკიცებას ჩვენ არ შევუდგებით და მოვაგონებთ მხოლოდ მკითხველებს, რომ ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მოადგილედ ამ ორმოცი წლის განმავლობაში გაბრიელ ეპისკოპოსი ბრძანდებოდა, რომლის მართლა და მოციქულებრივი მოღვაწეობა ცამდისაც-კი ადადებდა. ამ დიდებულმა სჯულის მოძღვარმა ნათელი საკმაოდ მიაფინა სამწყსოს და დღეს რომ იმ ძველს ნათელს კიდევ ახალს სხივებს მიაფენს უ-დ სამღვდელო ლეონიდი.

აკაკი.

II

ეს არის ეხლა მომივიდა თქვენი პატივცემულის „ივერიის“ № 218, რომელშიაც ამოვიკითხე შემდეგი ცნობა: ბ. არაყჩიანს მოუვლია ყუბანის ოლქი, ქუთაისისა და სხვა გუბერნიები, შეუკრებია ას ორმოც და ათამდე საერო კილოები აღმოსავლეთის ერთა და უმღერია ფონოგრაფზედ და ახლა ამზადებს გამოცემას მოსკოვში“. ამისთანავე ცნობა იყო მოთავსებული პეტერბურგის გაზეთ „ნოვოსტში“.

არაყიშვილი ქართველია და მგონი, საძრახისია, რომ კაცს განგებ გვარს უცვლიან, არიყიანცად, სომხად ჰნათლავენ, ვინ არიან ეს ყალბის მქნელები?

მოსკოვში იმართებოდა ხოლმე ჩვეულებრივ ქართული და სომხური საღამოები და, როგორც პირველზე, ისე მეორეზე; თითქმის ათის წლის განმავლობაში ლეკურს თქვენი მორჩილი მონა, ამ სტრიქონების დამწერი, თამაშობდა ხოლმე. უკანასკნელ თამაშობის დროს, სომხის პატრიოტები ასე იწონებდნენ ჩემს თამაშს: Браво, Кваліанцъ! Бисъ, Кваліанцъ! ერთს ჩემ ნაცნობ კაც მიემართნა ორის სომხის სტუდენტისთვის და ეთქვა: რა ვქნა, მე კვალიაშვილს კარგათ ვიცნობ, როგორც ქართველსაო, თქვენ-კი კვალიანცს უძახითო, რა მიზეზიაო? „არა. ეს კვალიანციაო, სომეხიაო“, ეპასუხნათ. ზალაში რომ გამოვედი, ეს პატივცემული კაცი შემხვდა და ირონიით მომმართა: „Странно, Александръ Дмитріевичъ, я зналъ Васъ за Грузина Кваліашвили, а тутъ Васъ вызиваютъ какъ Кваліанца, неужели вы армяниномъ стали?“

მომავალ საღამოსთვის დეპუტაცია გამომიგზავნეს მონაწილეობა მიიღეო, მე თანხმობა გამოუვუცხადე მხოლოთ იმ პირობით, რომ ჩემი გვარი აფიშაში გამოეცხადებინათ; იმათ სიტყვა მომცეს, მაგრამ არ შეასრულეს, მეც მერმე უარი ვუთხარი. მაშინ აქ ბრძანდებოდა ლუკა ჯავახიშვილი და სხვა ახალგაზრდა ყმაწვილები, რომელთაც ყოველივე ეს ეხსომებათ და მიმოწმებენ.

ასე იქცევიან ჩვენი ერთგულნი და მოსიყვარულე მეზობლები!..

სანდრო კვალიაშვილი.

„ივერიის“ ფოსტა:

ფ—რი. ქ. ქ—ძეს. მასწავლებელი ბრძანდებით და წერა-კი არ შეგისწავლიათ! თქვენი წერილი არ იბეჭდება.

—

ნ. ც—ლს. თქვენი ლექსი „მელა და გლეხი“ არ იბეჭდება.

—

გრ. ძ—ს. თქვენი ლექსები „მნათეს“ და „ერთია მხოლოდ ღმერთი“ არ იბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 ოკდომბერი

დარმშტატი. დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე რუსეთში გაემგზავრა.

გროზნი. დაიწყო სწავლა გროზნში ახლად დაარსებულს ქალთა პროგიმნაზიაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო დაწესდეს საავადმყოფოს დასაარსებლად გადასახადი იმ შემთხვევაში, თუ საავადმყოფოში 48 ადგილი იქნება.

რეველი. დაიწვა ქალაქის თეატრი. ცეცხლი მუშის დაუდევრობით გაჩნდა სცენაზე წარმოდგენის შემდეგ. არავინ დაღუპულა. დაიწვა არტისტების ტანისამოსი და მემუსიკეთა საკრავები. ზარალი დიდია.

ლონდონი. სახელმწიფონი შეთანხმდნენ; შანხაიდან მალე სახელმწიფოთა ჯარები უნდა გაიყვანონ.

სოფია. გაზეთი «ბოლგარია“ ყურადღებას აქცევს რუმინიის მეფის ბოლგარიაში მოსვლის მნიშვნელობას და ამბობს, რომ მეფეს ხალხი სიხარულით მიიღებსო.

კონსტანტინეპოლი. პორტამ მოისურვა, რომ იტალიის გემები მიდის ნავთ-სადგურიდან გაიყვანონ, იტალიის მთავრობამ მიუგო, რომ ჯერ ჟილდოს გადახდა და ავაზაკთა გაცემაა საჭიროო. ოსმალებმა შეუთვალეს, რომ ავაზაკების შეპყრობა ძნელიაო. ჰშიშობენ, იტალიას მიდის ნავთ-სადგურში არ უნდოდეს დამკვიდრება.

საფრანგეთის საელჩომ მოითხოვა წერილობით დამტკიცება იმისა, რომ ლორანდოსა და ტუბინის ვალი გასტუმრებულია; უამისოდ პარიჟის ბირჟაზე ახალ სესხის განაღდება აღკრძალული იქნებაო.

27 ოკდომბერი.

ლონდონი. იმპერატორი ვილჰელმი ვიკტორიის ნავთ-სადგურში მოვიდა.

მარსელი. ჩამოვიდა მაროკოს გარეშე საქმეთა მინისტრის ძმა. დელკასესთანა და ალჟირის გუბერნატორთან მიდის საგანგებო მინდობილობით. ალჟირის გენ.-გუბერნატორს პარიზში მოელიან.

პარიჟი. „გოლუა“ იტყობინება, ლუბე, იტალიაში მიდის, ვითომდა გადაწყვეტილია, რომ მეფემ და ლუბემვე ინახულონ ერთმანერთი ტურინსა, ფლორენციასა ან ნეაპოლში. მეფე გადაუხდის დარბაზობას სამხრეთ საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში. პაპი მიიღებს ლუბეს როგორც ვატიკანში საფრანგეთის ელჩის სტუმარსა, თუ თვითონ მივა პაპის სანახავად.

ნოვოროსიისკი. სასოფლო-საჭიროებათა კომიტეტმა დაადგინა იშუამდგომლოს, რომ შავი ზღვის ნაპირა რკინის გზამ ნოვოროსიისკზე გაიაროს.

იოკაგამა. დატუსაღებულია ორი კორეელი, რომელთაც, როგორც ჰფიქრობენ, განზრახვა ჰქონდათ წარჩინებულ კორეელ ემიგრანტების მოკვლა.

არსდება ახალი საკონსტიტუციო დასი, რომელსაც განზრახვა აქვს ოპოზიცია გაუწიოს მთავრობას პარლამენტში.

შორნკლიფი. ვოლსკტონის მერმა მიართვა ვილჰელმ II-ეს ადრესი, როგორც ძლიერ სახელმწიფოს მბრძანებელს და ინგლისის სამეფო სახლის ნათესავს.

ლონდონი. შორნკლიფში გამართულ საუზმის დროს პოლკის უფროსმა მადლობა გადაუხადა ვილჰელმს დრაგუნთა ოფიცრების პატივისცემისა და აფრიკაში დახოცილ ჯარის კაცთა ოჯახების დახმარებისათვის.

ბერბერა. მოლას 2000-ზე მეტი თოფი აქვს, უმთავრესად საფრანგეთში დამზადებული, აგრეთვე ბევრი სამხედრო მასალა და ჰყავს 15 ათასი მეომარი. ძნელია მოსპონ იარაღის შემოზიდვა საფრანგეთის სამფლობელოდან.

ხანდრინგემი. ვილჰელმ მე-II მოვიდა საღამოს 6 საათზე; ვოლფტონის სადგურზე მიეგებნენ მეფე და უელსის პრინცი.

სოფია. ცონჩევს პოლიცია ადევნებს თვალყურს, მთავრობას განზრახვა აქვს სამართალში მისცეს საცხოვრებელ ადგილიდან ნება დაურთველად წასვლისათვის.

ჯუმაის ოლქში ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა. ბულგარია დღესასწაულობს ვენედინის დაბადების ასის წლის შესრულებას.

ბრალდებითი ოქმი ყოფილ მინისტრებს—ივანჩოვის, რადოსლავოვის, ტონჩევისა და ტენევის წინააღმდეგ ჩაჰბარდათ ბრალდებულთ.

სოფია. დიმიტრიევი უმთავრეს შტაბის უფროსად კი არა, უფროსის თანაშემწედ დაინიშნა.

შორნკლიფი. იმპერატორის მატარებელი მოვიდა აქ ძლიერ ქარიშხალში, საშინელ თავსხმაში იმპერატორმა ჩაუარა ჯარებს, მიჰმართა სიტყვით და მიულოცა მოვალეობის სამაგალითო შესრულება სამხრეთ აფრიკის ომის დროს. 3½ საათზე იმპერატორი ლონდონში მოვიდა.

28 ოკდომბერი

პეტერბურგი. გზათა სამინისტროს აზრადა აქვს ფინლიანდიის და რუსეთის რკინის გზებზე პირდაპირი მატარებლები დანიშნოს.—თებერვალში დაიწყება რუსეთის ჰომეოპატთა პირველი კონგრესი.

ეკატერინოსლავი. ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა ქალაქის ხარჯით ელექტრონის ტრამვაის მეორე შტოს გაყვანა.

რიაზანი. საპატიო მომრიგებელ-მოსამართლედ არჩეულ იქმნა გენერალ-ადიუტანტი ვანოვსკი.

კიევი. აკურთხეს სახლი მოხუცთა და შეუძლოთათვის, რომელიც დექტიარევის ხარჯითაა აგებული. 300 მთხოვნელი მიიღეს. ამბობენ, მსურველთა რიცხვი 1000 ავაო. შენობა დაჯდა 900,000 მანეთი. დექტიარევმა 5,000,000 მანეთი საქველ-მოქმედო საქმეს უანდერძა.

პეკინი, ჩილის პროვინციაში ამბოხებაა. აგიტატორები ეწინააღმდეგებიან მთავრობას, ევროპის სახელმწიფოებს ნურაფერს ნუ აძლევთო. აჯანყების ჩასაქრობლად ჯარია გაგზავნილი.

მიუნხენი. პრინც რეგენტმა ინახულა აქაური რუსეთის ელჩი, რომელიც გადაყვანილია ბუხარესტში.

სადრანგემი. წირვას დაესწრნენ გერმანიის იმპერატორი, რობერტი, ბალფური, ჩემბერლენი და სხვა დაპატიჟებული პირნი. ეპისკოპოსმა წირვის გათავების შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა: მოვა დრო, როცა შთამომავლობითი განსხვავება მოისპობა და კაცობრიობა ერთ ძმურ საზოგადოებად შეიქნება. ხალხის მონათესავე მონარხი მობრძანდა ჩვენთან არა როგორც მეფე, არამედ როგორც ნათესავი და მეგობარიო. შემდეგ მოიგონა ინგლისისა და გერმანიის ერთად მოქმედება ევროპის ისტორიაში.

ვარშავა. გაიხსნა მეტცლის განცხადებათა ცენტრალურ საგაზეთო კანტორის განყოფილება.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	—
ბერლინში 100 მარკაზე	—
პარიჟში 100 ფრანკზე	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,25
პარიჟში ,,	37,665
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅛ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94¼ გაყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	477½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	359 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89¼ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,610 წვ. გაყ.
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა	4,450 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	392 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	201 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (საშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

13-ს ნოემბერს 1902, საღამოს 8 საათზე **ტფილისის სომეხთა ნერსისიანის სემინარიის მზრუნველისაგან** 1903 წ. 1 იანვრიდგან გაიცემა იჯარით ოთხის წლის ვადით

18 დუქანი შვიდის სარდაფით,

რომელიც ეკუთვნის ამ სემინარიას და რომელიც იმყოფება მესამე უბანში, რუსის ქუჩაზე.

პირობები მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ მზრუნველობის კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა, 10 საათიდგან 1 საათამდის. (3—1)

◆ ქ. ფოთში ◆

ალექსანდრე დანიელის ძე ჯორბენაძის

სახერხ ზავოდში არის მრავალი ხე-ტყის მასალა თხმელისა შემდეგის ზომისა:

ფიცარი სისქით ¾ ვერშ. 4½ და 5 ვერშ. 5 არშ. და 6 არშ.	35 კ.
რეიკა თხმ. 1×1 ვ. 5 არშ. და 6 არშ. სიგრძე	9 „
რეიკა თხმ. 1 ვ.×1½ ვ.	13½ „
რეიკა თხმ. 1 ვ.×2 ვ.	18 „
რეიკა თხმ. 1½ ვ.×1½ ვ.	18 „
რეიკა თხმ. 2 ვ.×2 ვ.	36 „
შილოვკა ⅝ ვ.×4½ ვ. და 5 ვ. 5 არშ. და 6 არშ.	15 „
დაბალის ღირსების შილოვკა	7 „
დიმოვკა 1''/დ×4½ 5 ვ. 5 არ. და 6 არ.	25 „

მაქვს პატივი ალექსანდრე დანიელის ძე ჯორბენაძე.

(3—6.—2)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	»
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60



მიღებულია სულ ახლა-ხან ლამაზადებული ფირფიტები ევროპიელთა და აზიურ მომღერალთა სიმღერებისა.

გაფრთხილება!

კომპანია გრამოფონი

ტფილისი, გოლოვინის პრ., სახლი აზიანცისა, № 7.

ამით ვაუწყებთ პატივისცემით ჩვენს პატივცემულს მუშტარს, რომ გასასყიდად გამოიტანეს ბაზარში ჩვენის საგრამოფონო ფირფიტების და აპარატების კოპიოები; ამასთანავე, სამწუხაროდ, ატყუებენ მუშტარს სხვა და სხვა მოსატყუებელით—ფასის დაკლებით, სხვა-და-სხვა დაპირებით და სხვ. და შედეგად ყველა ამისა ის არის, რომ არც ნაყიდი აპარატი და არც ფირფიტა აღარ გამოადგებათ ხოლმე გულ-გატეხილ მყიდველთ.

ვისაც სურს შეიძინოს გრამოფონები და მისი ფირფიტები, ვურჩევთ, იყიდონ ჩვენს მაღაზიაში, საცა მყიდველი თვითვე დარწმუნდება, რა განსხვავებაა ჩვენსა და სხვათა აპარატებში. პირველი კი ის არის, რომ ჩვენის აპარატის მყიდველი ყოველთვის კმაყოფილი იქნება.

კატალოგი უფასოდ გაეგზავნება მსურველს პირველ მოთხოვნილებისამებრ. (7—4)

დიდ-ძალი გრამოფონები და ფირფიტები გვაქვს ამ-[illegible]

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.